ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **მარინე აბულაძე**

თანამდებობის დასახელება:
- 03.12.2021 – დან საკრებულოს წევრი- 07.12.2022 წლამდე,
- 07.12.2022 წლიდან საკრებულოს ფრაქციის ,,ახალციხე საქართველოსთვის'' თავმჯდომარე - 27.07.2022წ.-მდე,
- 27.07.2022წ.-დან საკრებულოს წევრი.

ფრაქციის დასახელება - ,,ახალციხე საქართველოსთვის''

კომისი(ებ)ის დასახელება:
- საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია

- არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი- 2021 წლის 03.12 -დან 2022 წლის 01.11 მდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:
   - 03.122021 წლის საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 14
     საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 13

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2021 – 2022 წელს:
   - საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა 9 ,
   - ესწრებოდა 7 სხდომას (კომისიის წევრი 2022 წლის დეკემბრიდან)

   მ/შ დროებითი კომისიები:
   ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი,
   სხდომების რაოდენობა - 4 , სხდომებზე დასწრება 4;

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 7 სხდომა.

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება 7 სხდომა.

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები:

1. საკრებულოს 20.01.2022 წლის #1 სხდომაზე წარვადგინე წინადადება გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 22.11.2021 წლის ანგარიშის შენიშვნები და გაერთიანდეს ფუნქციურად ორი ერთნაირი ა(ა)იპ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის მიზნით. ამავე სხდომაზე წარვადგინე წინადადება მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების თაობაზე, რადგან მერიაში ფუნქციონირებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა იდენტური სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა საფინანსო, ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურები.

2. საკრებულოს 25.02.2022 წლის სხდომაზე წარვადგინე წინადადება ა(ა)პ ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების'' საბავშვო ბაღების სააგენტოდ გარდაქმნის პროცესის გაგრძელების თაობაზე.

3. საკრებულოს 28.04.2022 წლის სხდომაზე წამოვაყენე წინადადება ა(ა)პ ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისთვის'' უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დროულად მოწესრიგების თაობაზე.

4. საკრებულოს 28.09.2022წლის სხდომაზე ფრაქციის ,,ახალციხე-საქართველოსთვის" სახელით წარვადგინე წინადადება: საკრებულოს მიერ მოსმენილი იქნეს ახალციხის მერიასთან ჩამოყალიბებული ,,ახალგაზრდული საბჭოს" მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მუნიციპალური საკითხების გადაწყვეტის პროცესში ჩართულობის იდენტიფიცირებისათვის.

5. საკრებულოს 28.10.2022 წლის სხდომაზე ფრაქციის ,,ახალციხე საქართველოსთვის" სახელით წარვადგინე წინადადება: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავდეს ,,სახალხო ბიუჯეტირების" წესი, აგრეთვე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ,,სახალხო ბიუჯეტირებისთვის" გათვალისწინებული იქნეს მინიმალური ქვედა ზღვარი 3%-ის ოდენობით.

ინიციირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - დადგენილება 0 ,
- წარდგენილი წინადადებებიდან, მერიის მიერ მოხდა ფუნქციურად ორი ერთნაირი ა(ა)იპ გაერთიანება, 28.04.22 წელს მიღებულ იქნა -,, ა(ა)იპ „ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბის" (ს/კ 424068065) და ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქალაქ ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლის" (ს/კ 224090524) შერწყმის(გაერთიანების) თაობაზე თანხმობის მიცემისა და ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება"-ს წესდების დამტკიცების შესახებ" #გ-1313221181 განკარგულება.

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

25.02.22 წლის #2 სხდომა: 1.,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ'' დადგენილება;

2.„ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

31.03.2022წლის #3 სხდომა: ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ'' განკარგულება;.

28.04.2022 წლის #4 სხდომა: ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“-სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე''- განკარგულება;

14.07.2022 წლის #7 სხდომა: 1.,,ქალაქ ახალციხეში, თამარაშვილის ქუჩის დასაწყისში არსებული გეოგრაფიული ობიექტისათვის-მოედნისათვის მეფე გიორგი V ბრწყინვალის სახელის მინიჭების შესახებ'' - განკარგულბა.
2. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე'' - განკარგულება.

25.08.2022 წლის#8 სხდომა: 1. ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ'' - დადგენილება;
2. ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ - იუსტიციის სახლისათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' - განკარგულება.

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორცილედება სისტემატიურად, როგორც სამუშაო ადგილზე-ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე.

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 87 მოქალაქე.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

სოციალური, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურული, მიუსაფარი ძაღლები.

7. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

დასმული იქნა კონკრეტული საკითხები საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

8. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.

- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სამუშაო შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოებთან;
- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში გამართული ,,გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში" ტრენინგი;
- მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა.

შევსების თარიღი - 30.10.22 წ.

წარდგენის თარიღი 31.10.22 წ.

ხელის მოწერა----------